კულტურათშორისი ურთიერთობები - გამოწვევა, თუ განვითარების შესაძლებლობა?

DOI: https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.15

მარიამ დალაქიშვილი
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
mariami.dalakishvili.1@ciu.edu.ge
ORCID iD: https://orcid.org/0009-0004-7380-7814

აბსტრაქტი

კულტურათშორისი ურთიერთობები დღევანდელ მსოფლიოში ძალიან აქტუალური და მწვავე თემაა, ამიტომ აღნიშნულ საკითხზე ბევრ მკვლევარს უმუშავია და, შესაბამისად, გარკვეული მოსაზრებებიც არსებობს. თუმცა, თანამედროვე ეტაპზე ის დამატებით კვლევასა და განახლებას საჭიროებს. სწორედ ამიტომ, ჩემი სტატია კულტურათშორისი ურთიერთობების გამოწვევებისა და განვითარების შესაძლებლობების შესახებ არსებულ მიმოხილვებს აანალიზებს და წარმოაჩენს.

სტატიაში განხილულია განსხვავებული ღირებულებების და იდეოლოგიის ხალხს შორის ურთიერთობები, მულტიკულტურალიზმის გამოწვევა და განვითარების შესაძლებლობები, განხილულია რამდენიმე წიგნი და სამეცნიერო სტატია, რომელიც კულტურათშორის ურთიერთობებს ეხება. საანალიზოდ წარმოდგენილია სემუელ ჰანთინგტონის, კრისტიან ფერნანდესის, ნანა ციხისთავის და ანი ომიაძის შრომები. გარდა ამისა, გაანალიზებულია სოუონ ლის და ბოიანგ კიმის ავტორობით გამოქვეყნებული კვლევა მულტიკულტურალიზმთან დაკავშირებით.

სტატიაში განხილული მასალებიდან გამომდინარე, გაანალიზებულია, რამდენად წარმოადგენს განსხვავებული კულტურული დაჯგუფებების ურთიერთობა გამოწვევას ქვეყნებისთვის და რამდენად არის რისკის შემცველი ჰარმონიული თანაცხოვრებისთვის.

საკვანძო სიტყვები: მულტიკულტურალიზმი, ღირებულებები, ურთიერთობები, გამოწვევა, განვითარება.

Intercultural Relations - Challenge or an Opportunity for Development?

Mariam Dalakishvili
PhD Student,
Faculty of Social Sciences and Humanities,
Doctoral Program in Political Science,
mariami.dalakishvili.1@ciu.edu.ge
ORCID iD: https://orcid.org/0009-0004-7380-7814

Abstract

Intercultural relations are very actual and important topic in today's world, that's why, many researchers have worked on this issue and accordingly there are different kind of opinions, however, at the current stage, it requires additional research and updating of the issue, therefore, my article analyzes and presents reviews on the challenges and development opportunities of intercultural relations.

The article discusses the relationships between people who have different values and ideologies, as well as the challenge of multiculturalism and the opportunities for development. Besides, the article discusses several books and scientific articles that deal with intercultural relations. For analysis, they are presented by Samuel Huntington, Christian Fernández'es, Nana Tsikhistavi's, and Ani Omiadze's works. Besides them, there are presented a published study on multiculturalism, authored by Sowon Lee and Boyoung Kim.

Based on the materials discussed in the article, it is analyzed to what extent the interaction between different cultural groups is a challenge for countries and a risk to harmonious coexistence.

Keywords: Multiculturalism, values, relationships, challenge, development.

შესავალი

დღესდღეობით კულტურათშორისი ურთიერთობები მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი მწვავე და აქტუალური საკითხია. ადამიანები ხშირად განსხვავდებიან ერთმანეთისგან რწმენით, ღირებულებებით, იდეოლოგიით, წეს-ჩვეულებებით, უნარ-ჩვევებითა თუ კანონებით. ამ განსხვავებების, ანუ კონტრასტულობისა და არაორდინალურობის გამო, ხშირად კონფლიქტი წარმოიშობა განსხვავებულ კულტურულ დაჯგუფებებს

შორის. ბევრი ადამიანი საკუთარ კულტურას ნორმად მიიჩნევს, განსხვავებულს კი – „უწესოდ“, რის გამოც უარყოფითად ექცევა არაიდენტური კულტურისა და ღირებულებების მქონე ადამიანებს.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ხშირად უპირისპირდებიან ერთმანეთს, თანამედროვე სამყაროში მათი დაახლოება გლობალიზაციის გამო ხდება. დღევანდელ მსოფლიოში განათლება მეტად ხელმისაწვდომი გახდა. ასევე, ინტერნეტიზაციის პერიოდში ადამიანებმა შეძლეს განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან მეტად ინტეგრაცია, მათთან დაკავშირება, განსხვავებული ღირებულებების გაცნობა და დაახლოება. გარდა ამისა, სხვადასხვა ქვეყანაში შესვლა და მოგზაურობა უფრო ხელმისაწვდომი გახდა ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რადგან გაფართოვდა საერთაშორისო ორგანიზაციები, განვითარდა ტურიზმი.

კვლევის საგანი. კულტურათშორისი ურთიერთობები, როგორც გამოწვევა და განვითარების შესაძლებლობა. ამ ჭრილში განსახილველი მასალებია ორი წიგნი და ორი სამეცნიერო ჟურნალი.

განსახილველი მასალებია: რეიმონდ ტარასის რედაქტორობით გამოცემული წიგნის, „მულტიკულტურალიზმის გამოწვევები - მრავალფეროვნების ევროპული მოდელი“, მე-3 თავი. ეს თავი, კრისტიან ფერნანდესის ავტორობით, ყურადღებას ამახვილებს მულტიკულტურალიზმის საკითხზე, მის გამოწვევასა და გააზრებაზე.

სემუელ ჰანთინგტონის წიგნი „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“, სადაც ავტორი ყურადღებას ამახვილებს ინტერნაციონალიზაციაზე, კულტურაზე, იმიგრაციასა და გეოპოლიტიკაზე.

ქართულენოვანი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „დიპლომატია და სამართალი“, კერძოდ, ნანა ციხისთავის და ანი ომიაძის სტატია, რომელიც ეხება კულტურათშორის დიალოგს და კულტურულ მრავალფეროვნებას.

ჟურნალ Behavioral Sciences-ში სოუონ ლის და ბოიანგ კიმის ავტორობით გამოქვეყნებული სტატია, სათაურით „როგორ მოქმედებს სტერეოტიპების მოდიფიცირება სოციალურ დომინაციასა და მულტიკულტურული მიმღებლობის ურთიერთობის შერბილებაზე“. აღნიშნულ სტატიაში საუბარია გლობალიზაციის პერიოდში მულტიკულტურალიზმზე; კვლევა ჩატარებული და განხილულია სამხრეთ კორეის მაგალითზე.

ზემოთ ჩამოთვლილი ავტორები ავარჩიე ჩემი სტატიისთვის, რადგან თოთოეული მათგანი ეხება კულტურათშორის ურთიერთობებს, განსახილველი მასალებიდან, კი დავაფიქსირებ მათ პოზიციებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მიზანი:

კულტურათშორისი ურთიერთობების თემას არაერთი ცნობილი მკვლევარი შეეხო, რომლებიც ამ საკითხს, მათ შორის მიგრაციის კონტექსტში, სხვადასხვანაირად აფასებენ. ჩემი მიზანია, მოკლედ წარმოვადგინო და მიმოვიხილო სხვადასხვა პოზიცია კულტურათშორისი ურთიერთობებისა და დიალოგის შესახებ. ასევე, ჩამოვაყალიბო მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ როგორ არის საკითხი შესწავლილი, და განსახილველი მასალების მაგალითზე გავაანალიზო, რამდენად არის კულტურათშორისი ურთიერთობები მსოფლიოსთვის გამოწვევა თუ განვითარების შესაძლებლობა.

მეთოდები. მეთოდებად გამოყენებულია კონტენტ ანალიზის მეთოდი, რადგან სტატიისთვის საჭირო იყო ინფორმაციის სიღრმისეული შესწავლა. გარდა ამისა, ვიყენებ შედარებითი ანალიზის მეთოდს, რათა შევადარო ერთმანეთს სხვადასხვა წყარო და ვიპოვო როგორც განსხვავებული მოსაზრებები, ასევე მსგავსებები.

მსჯელობა და შედეგები: რეიმონდ ტარასის რედაქტორობით გამოცემულ წიგნში, „მულტიკულტურალიზმის გამოწვევები - მრავალფეროვნების ევროპული მოდელები“ (CHALLENGING MULTICULTURALISM - EUROPEAN MODELS OF DIVERSITY), ყურადღება გამახვილებულია მულტიკულტურალიზმის გააზრებაზე, თანამედროვე მოქალაქეობის საკითხებსა და ევროპის მრავალფეროვნებაზე მულტიკულტურალიზმის კონტექსტში. განხილულია მულტიკულტურალიზმის გამოწვევებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი და მოყვანილია ევროპის ქვეყნების სხვადასხვა შემთხვევა აღნიშნულ თემებთან მიმართებით. მაგალითად, მულტიკულტურალიზმის საწინააღმდეგო პოლიტიკური დისკუსი საფრანგეთში, იმიგრანტების ინტეგრაცია ბელგიაში და სხვა. აღნიშნული წიგნიდან აქცენტს გავაკეთებ, მესამე თავზე, „მულტიკულტურალიზმის გამოწვევა: პოლიტიკური ფილოსოფია და მრავალფეროვნების საკითხზე“ , რომლის ავტორიც არის ქრისტიან ფერნანდესი, (Christian Fernández) ავტორი აღნიშნავს, რომ ლიბერალურ კულტურაში მულტიკულტურალიზმმა მრავალჯერ გამოიწვია კონფლიქტი. ადგილობრივ კულტურული დაჯგუფებებისა და უმცირესობების თანასწორობის პრინციპმა, ბევრჯერ გაყო საზოგადოებები. ავტორი ამობს და ეწინააღმდეგება ვარაუდს, თითქოს, ადამიანები მეტ-ნაკლებად „ერთნაირები“ არიან. იგი აღნიშნავს, რომ უმცირესობებთან ურთიერთობა, განსაკუთრებით მუსულმანებთან და ემიგრანტებთან, ახლო

აღმოსავლეთიდან, ლიბერალურ სახელმწიფოში მაინც რთულ პროცესს წარმოადგენს, რადგან ლიბერალური და არალიბერალური ღირებულებების განსხვავებულობის გამო, აღნიშნული კულტურული ღირებულებების მატარებელი ჯგუფების ინტეგრაციას მოჰყვება დაბრკოლებები. მულტიკულტურალიზმში მნიშვნელოვანია ინტეგრაცია, რაც ასიმილაციასაც გულიხმობს, ავტორის აზრით, კი ეს არასამართლიანი შეიძლება იყოს უმცირესობებისთვის, ასევე, მისი აზრით, მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიმღები პირები დაფიქრდნენ, კულტურული მრავალფეროვნების, როგორც საზოგადოებრივი ერთიანობის საფრთხეზეც. მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალიზმი ყოველთვის ემყარებოდა სხვადასხვა რელიგიური დაჯგუფებების და სხვა სახის განსხვავებული შეხედულებების წარმომამდგენელების თანაცხოვრებას, ავტორის მოსაზრებით, დღესდღეობით არის ჩიხში, რადგან მაინც შეუთავსებელია მრავალი უმცირესობის რწმენა და პრაქტიკა ერთმანეთთან, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.[217]

სემუელ ჰანგთინგტონის წიგნში „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“, ავტორი აღნიშნავს, რომ ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში, გლობალიზაციის პერიოდში ომები კულტურებს შორის იქნება, ხოლო კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი გახდება ხალხის კულტურული და რელიგიური იდენტობა. ავტორი ამბობს, რომ ცივილიზაციები შეცვლიან მსოფლიო ისტორიას, წიგნში ყურადღება გამახვილებულია გეოპოლიტიკაზე, იმიგრაციაზე, ადამიანის უფლებებზე, ინტერნაციონალიზაციასა და დემოკრატიაზეც. ავტორის აზრით, რელიგიას დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობებზე და გეოპოლიტიკაზე და მისი თქმით, ქვეყნების დაყოფა უნდა მოხდეს ცივილიზაციების, ანუ კულტურის მიხედვით. ავტორი აღნიშნავს, რომ ცივი ომის შემდგომ სამყარო გახდა მულტიპოლარული და მულტიცივილიზაციური. ცივი ომის შემდგომ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა ხალხებს შორის განსხვავება არა იდეოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური განსხვავებებით, არამედ მათი კულტურული ნიშნით. ხალხის და ერებისთვის მთავარი კითხვა წარმოიშვა, თუ ვინ არიან ისინი? და ამ კითხვაზე ტრადიციულ პასუხს სცემენ, თავიანთ თავს განსაზღვრავენ წინაპრების, რელიგიის, ისტორიის, ღირებულებების და წეს-ჩვეულებების მიხედვით. ისინი იდენტიფიცირდებიან კულტურულ ჯგუფებში: ტომებში, ეთნიკური ჯგუფებში, რელიგიურ თემებში და ცივილიზაციებში. ხალხი პოლიტიკას იყენებს არა მხოლოდ საკუთარი თავის წინსვლისა და პროგრესისთვის, არამედ მათი იდენტობის განსაზღვრისთვისაც. ავტორი ამბობს, რომ ჩვენ მაშინ

[217] Fernández, Christian; „CHALLENGING MULTICULTURALISM-EUROPEAN MODELS OF DIVERSITY “; Edinburgh University Press, Edinburgh, 2013.

ვხვდებით ვინ ვართ, როდესაც ვიგებთ, თუ ვინ არ ვართ რეალურ სამყაროში და ხშირად, მხოლოდ მაშინ ვხვდებით ჩვენს ვინაობას, თუ ვის წინააღმდეგ ვართ განწყობილები.[218]

ქართულენოვანი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „დიპლომატია და სამართალში“ ნანა ციხისთავისა და ანი ომიაძის სტატია კულტურათშორის დიალოგს ეხება, როგორც თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებისა და საფრთხეების საპირწონე საკითხს. გადმოცემულია კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ინფორმაცია, რაც დღევანდელ მსოფლიოში, გლობალიზაციის პერიოდში, მეტად აქტუალური გახდა. გარდა ამისა, საუბარია კულტურათშორისი ურთიერთობების სირთულესა და საჭიროებაზე საქართველოს კონტექსტშიც. სტატიაში აღნიშნულია, რომ კულტურული მრავალფეროვნება დღევანდელი სამყაროს რეალობაა, გლობალიზაციის პერიოდში კულტურები ერთმანეთთან უფრო დაკავშირდნენ და მრავალფეროვნება მეტად დასანახი გახდა. სტატიის მიხედვით, კი კულტურული განსხვავებების ცოდნა ხელს უწყობს, მაგალითად საქართველოში და სხვა ქვეყნებშიც, როგორც მშვიდობიან ცხოვრებას, ასევე თვითდამკვიდრებასაც. კულტურული მრავალფეროვნების ფასეულობის ცნობა, აღიარება თანამედროვე სამყაროს გამოწვევას წარმოადგენს. ბევრი ადამიანი თავის კულტურას ნორმად თვლის, სხვების კულტურას კი არამართებულად მიიჩნევს, რის გამოც ხშირია კულტურული დაჯგუფებების ერთმანეთთან დაპირისპირება. მულტიკულტურული საზოგადოებისთვის, კი მრავალფეროვნების აღიარება და დაფასება მნშივნელოვანია მშვიდობიანი ურთიერთობებისა და ცხოვრებისთვის. ასევე, სტატიაში აღნიშნულია, რომ თანამედროვე სამყაროზე დაკვირვებით შესაძლებელია მიხვედრა, რომ სახელმწიფოების უმრავლესობა კულტურულად ჰეტეროგენულია.[219]

ჟურნალ Behavioral Sciences-ში, სოუონ ლისა და ბოიანგ კიმის ავტორობით, 2024 წელს გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „როგორ მოქმედებს სტერეოტიპების მოდიფიცირება სოციალურ დომინაციასა და მულტიკულტურული მიმღებლობის ურთიერთობის შერბილებაზე“ (Exploring How Stereotype Modification Mediates the Relationship between Social Dominance and Multicultural Acceptance). სტატიაში ნათქვამია, რომ გლობალიზაციის პერიოდში ადამიანები აღარ ეკუთვნიან ერთ კულტურას, რადგან კულტურები ურთიერთგავლენას ახდენენ ერთმანეთზე. ამავე სტატიის მიხედვით, სხვადასხვა კულტურის ურთიერთობამ გამოიწვია ტექნოლოგიური პროგრესი და

[218] Huntington, Samuel P.; „The clash of civilization and the remarking of world order “; Rockefeller Center; New York; 1996.

[219] ციხისთავი, ნანა; ომიაძე, ანი; „კულტურათაშორისი დიალოგი თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებისა და საფრთხეების საპირწონედ “; დიპლომატია და სამართალი; 2021.

ინტეგრაცია გლობალურ ეკონომიკაში. თუმცა, აღნიშნულია, რომ კულტურების ურთიერთობამ დადებით შედეგებთან ერთად გამოიწვია ხშირი კონფლიქტი, სიძულვილი და შიში განსხვავებული კულტურების მიმართ. ეს კი, თავის მხრივ, დისკრიმინაციას იწვევს სხვადასხვა ფორმით: რასის, სქესის, რელიგიის და სხვა ფაქტორების მიხედვით.

მოცემულ სტატიაში საუბარია სამხრეთ კორეაში ჩატარებულ კვლევაზე, რომლის მიხედვითაც სოციალური დომინაციისკენ მიდრეკილ პირებს, დაბალი მიმღებლობა აქვთ მულტიკულტურალიზმის მიმართ და სავარაუდოა, რომ აქვთ ცრურწმენა გარე ჯგუფების მიმართაც. კვლევის მიხედვით, სოციალური დომინაციისკენ მიდრეკილი პირები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მიგრანტების მასპინძელ საზოგადოებებში ინტეგრაციისა და ადაპტაციისთვის, ამიტომ მნიშვნელოვანია ადგილობრივ საზოგადოებას შეუქმნან პოზიტიური შეხედულებები მიგრანტების მიმართ, რადგან არ მოხდეს მიგრანტების დისკრიმინაცია.[220]

ზემოთ აღნიშნული ავტორები კულტურათშორის ურთიერთობებს ეხებიან. განხილული ავტორების მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა და ვფიქრობ, რომ კულტურათშორისი ურთიერთობები გლობალიზაციის პერიოდში მნიშვნელოვან საკითხს და გამოწვევას წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბით.

ქრისტიან ფერნანდესის შეხედულებით, ლიბერალურ კულტურაში მულტიკულტურალიზმმა მრავალჯერ გამოიწვია კონფლიქტი და საზოგადოება გაყო. ავტორი ეწინააღმდეგება ვარაუდს, თითქოს ადამიანები მეტ-ნაკლებად „ერთნაირები“ არიან. ავტორის მოსაზრებით და ჩემი დაკვირვებითაც, ურთიერთობა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის, თუნდაც ლიბერალურ სახელმწიფოში, განსხვავებული ღირებულებების გამო, სირთულეს წარმოადგენს.

სემუელ ჰანთინგტონი აღნიშნავს, რომ ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში კონფლიქტს კულტურული და რელიგიური იდენტობები გამოიწვევს, ხოლო ომები განსხვავებული კულტურული ღირებულებების გამო იქნება. კონფლიქტის მიზეზი ბევრჯერ გახდა და არის კულტურული განსხვავებულობები; ამის მრავალი ფაქტი არსებობს. შესაბამისად, ავტორის მოსაზრება მისაღები და გასაგებია. ამიტომ ვფიქრობ, აღნიშნულ მოსაზრებას სჭირდება მრავალჯერ განხილვა და დაფიქრება, რათა ავიცილოთ მოსალოდნელი საფრთხეები, რამაც შესაძლოა რისკის ქვეშ დააყენოს

[220] Kim, Sowon Lee and Boyoung; „Exploring How Stereotype Modification Mediates the Relationship between Social Dominance and Multicultural Acceptance“; Behavioral Sciences; 2024.

ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა როგორც ლოკალურ, ასევე საერთაშორისო სისტემურ დონეზე.

სტატიაში ნანა ციხისთავი და ანი ომიაძეც აღნიშნავენ და ხაზს უსვამენ კულტურათშორისი დიალოგის თემას, როგორც თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებისა და საფრთხეების საპირწონე საკითხს. ავტორებს ვეთანხმები, რომ გლობალიზაციის პერიოდში კულტურები ერთმანეთთან უფრო დაკავშირდნენ და მრავალფეროვნება მეტად თვალსაჩინო გახდა. თუმცა, ადამიანები ხშირად საკუთარ კულტურას ნორმად, სხვის კულტურას კი „უწესოდ“ მიიჩნევენ, რის გამოც ხშირია კულტურული კონფლიქტები. ავტორების თქმით და ჩემი მოსაზრებითაც, კულტურული განსხვავებების ცოდნა ხელს უწყობს როგორც მშვიდობიან ცხოვრებას, ასევე თვითდამკვიდრებასაც. ამიტომ ვფიქრობ, რომ ინტერკულტურული განათლება ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიოში მშვიდობისა და ჰარმონიული თანაცხოვრების შესანარჩუნებლად.

სოუონ ლისა და ბოიანგ კიმის მოსაზრებები კულტურათშორის ურთიერთობებზე ემთხვევა ჩემს მოსაზრებებსა და ზემოთ განხილული ავტორების შეხედულებებს იმ კონტექსტში, რომ კულტურების ურთიერთობამ ხშირი დაპირისპირება გამოიწვია. თუმცა, სოუონ ლი და ბოიანგ კიმი მიიჩნევენ, რომ სხვადასხვა კულტურის ერთმანეთთან ურთიერთობას ტექნოლოგიურ პროგრესამდე და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციამდე მივყავართ. შესაბამისად, ვფიქრობ, აღნიშნულ პროცესს ქვეყნები მეტ განვითარებამდე მიჰყავს, რაც საინტერესო და მნიშვნელოვანი პროცესია საზოგადოებებისთვის.

დასკვნა

ჩემ მიერ შესწავლილი მასალის საფუძველზე შემიძლია დავასკვნა, რომ კულტურათშორისი ურთიერთობები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია თანამედროვე ეტაპზე. მას შეუძლია საფრთხე შეუქმნას როგორც ქვეყნების სტაბილურობასა და ჰარმონიულ ცხოვრებას, ასევე დადებითი გავლენა მოახდინოს განათლებაზე, ტექნოლოგიურ პროგრესზე, განვითარებაზე, ტურიზმსა და საბაზრო ეკონომიკაზე.

მიუხედავად კულტურათშორისი ურთიერთობების დადებითი მხარეებისა, დღევანდელ მსოფლიოში ეს საკითხი მეტად დგას გამოწვევის წინაშე. კვლევებისა და მაგალითების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებულ კულტურულ დაჯგუფებებს ერთმანეთის მიმართ კონფლიქტური ურთიერთობები აქვთ, რაც მათი არაერთგვაროვნებისა და განსხვავებული ღირებულებების გამო ხდება.

ჩემ მიერ შესწავლილ მასალაში ავტორების შეხედულებები კულტურათშორისი ურთიერთობების შესახებ ემთხვევა იმ მხრივ, რომ თითოეული მათგანი ხაზს უსვამს კულტურათშორისი ურთიერთობების მნიშვნელოვნებასა და გამოწვევის საკითხს.

მოცემული ნაშრომების მიმოხილვამ, ჩატარებულმა კვლევამ და ანალიზმა აჩვენა, რომ აღნიშნული საკითხი დღევანდელ საზოგადოებაში ძალიან აქტუალურ თემას წარმოადგენს, ასევე საფრთხის წინაშე დგას და საჭიროებს მეტ ყურადღებას, კვლევებს, ქვეყნების ადგილობრივ საზოგადოებასთან მეტ კომუნიკაციას და სხვა კულტურების ღირებულებების გაცნობას. გარდა ამისა, ინტერკულტურულ განათლებას, რათა განსხვავებული ღირებულებებისა და კულტურის მქონე დაჯგუფებებმა შეძლონ მშვიდობიანი თანაცხოვრება ერთმანეთთან და საფრთხე არ შეუქმნან უსაფრთხოებას.

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ ჰარმონიული თანაცხოვრებისთვის, ვფიქრობ, საჭიროა, საზოგადოებებმა შეაფასონ განსხვავებული კულტურები არა მხოლოდ საკუთარი კულტურის გადმოსახედიდან, არამედ შეძლონ განსხვავებული შეხედულებების, კულტურისა და ღირებულებების გაანალიზება სხვა კულტურული დაჯგუფებების აღქმის მიხედვით. ეს ხელს შეუშლის რადიკალურ მიუღებლობას, სიძულვილს, შიშსა და დისკრიმინაციას რასის, რელიგიის თუ სხვა ფორმით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ციხისთავი ნ., ომიაძე ნ. 2021. "კულტურათაშორისი დიალოგი თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებისა და საფრთხეების საპირწონედ." *დიპლომატია და სამართალი* 49-51.

2. Fernández, Christian. 2013. *CHALLENGING MULTICULTURALISM-EUROPEAN MODELS OF DIVERSITY.* Edited by Raymond Taras. Edinburgh: Edinburgh University Press,.

3. Huntington, Samuel P. 1996. *The clash of civilization and the remarking of world order.* New York: Rockefeller Center.

4. Kim, Sowon Lee and Boyoung. 2024. "Exploring How Stereotype Modification Mediates the Relationship between Social Dominance and Multicultural Acceptance." *Behavioral Sciences* 2-13.